

შპს „ბრენდ არ“

ფინანსური ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისათვის რომელიც დასრულდა 2021 წლის 31
დეკემბერს

შპს „ბრენდ არ“

ფინანსური ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბრის
მდგომარეობით

შინაარსი

სრული შემოსავლის ანგარიშგება	3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	4
სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	6
1. ზოგადი ინფორმაცია.....	6
2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა.....	6
3. დივიდენდების გადახდის შეზღუდვა.....	9
4. ამონაგები	10
5. ფინანსური დანახარჯები	10
6. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	10
7. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	11
8. ძირითადი საშუალებები	11
9. ბანკის სესხი	11
10. სავაჭრო ვალდებულებები.....	11
11. ჩვეულებრივი იჯარის ვალდებულებები	11
12. კაპიტალი	12
13. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები	12
14. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება	12

შპს „ბრენდ არ“
სრული შემოსავლის ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

საანგარიშგებო ვალუტა: ლარი

	შენიშვნა	2021	2020
შემოსავალი	4	4725558	3669373
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება		-2376952	-1602552
საერთო მოგება		2348606	2066821
სხვა შემოსავალი		0	0
დასაქმებულთა ანაზღაურება		-719150	-579763
ცვეთა და ამორტიზაცია		0	0
საპროცენტო ხარჯი	5	-12311	-25040
იჯარის ხარჯი	11	-318957	-244157
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები		-296975	-179402
სხვა ხარჯები		0	0
საოპერაციო მოგება		1002521	1038459
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან		0	0
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)	5	9350	-23388
მოგება დაბეგვრამდე		1011871	1015071
მოგების გადასახადის ხარჯი		0	0
მიმდინარე წლის მოგება		1011871	1015071
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):			

ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი		0	0
სხვა		0	0
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:		0	0
მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)		1011871	1015071

კაპიტალი საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)		2417946	1964442
ახალი აქციების გამოშვება		0	0
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)		-552358	-451888
ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში		0	0
კაპიტალის სხვა ცვლილებები		-287928	-109679
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს		2589531	2417946

დირექტორი: გიორგი ლომიძე

ხელმოწერა:

შპს „ბრენდ არ“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

საანგარიშგებო ვალუტა: ლარი

აქტივები	შენიშვნა	31.12.2021	31.12.2020	31.12.2019
მიმდინარე აქტივები		4287455	3297188	3208935
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	13	218412	79703	40072
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	6	137569	192068	203678
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	7	3727713	2927261	2965185
სხვა მიმდინარე აქტივები		68638	1092	0
გაცემული ავანსები		135123	97064	0

გრძელვადიანი აქტივები		204476	165186	33512
ძირითადი საშუალებები	8	204476	165186	33512
არამატერიალური აქტივები		0	0	0
სულ აქტივები		4491931	3462374	3242447
ვალდებულებები	შენიშვნა	31.12.2021	31.12.2020	31.12.2019
მიმდინარე ვალდებულებები		1652400	898336	1115481
სავაჭრო ვალდებულებები	10	1652400	839093	999592
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები	9	0	0	115889
მიღებული ავანსები		0	59243	0
გადასახდელი დივიდენდები		0	0	0
სხვა ვალდებულებები		0	0	0
გრძელვადიანი ვალდებულებები		250000	146092	162524
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	9	250000	146092	162524
სულ ვალდებულებები:		1902400	1044428	1278005
საკუთარი კაპიტალი		2589531	2417946	1964442
საწესდებო კაპიტალი	12	0	0	1012031
გაუნაწილებელი მოგება		2589531	2404403	952411
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები		0	13543	0
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		4491931	3462374	3242447

დირექტორი: გიორგი ლომიძე

ხელმოწერა

6-12 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2021 წ. 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „ბრენდ არ“ შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიაა, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში. კომპანიის იურიდიული მისამართი და საქმიანობის ძირითადი ადგილი არის საქართველო, თბილისი, გლდანი-ნაძალადევის რაიონი, დ. სარაჯიშვილის გამზ. 23, ბ. 14.

კომპანიის ხელმძღვანელი პირის (დირექტორის) ცვლილება განხორციელდა 2021 წლის 7 დეკემბერს. ნაცვლად ეკატერინე ჯოლბორდისა (პ/ნ: 01027046121) დირექტორის თანამდებობაზე დაინიშნა გიორგი ლომიძე (პ/ნ: 01010016551).

მისი ძირითადი საქმიანობაა საოფისე და საოჯახო საქონელით ვაჭრობა.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად. იგი წარმოდგენილია საქართველოს ფულად ერთეულებში (ლარი).

ამონაგების აღიარება

ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა.

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, ფასდათმობებისა და საქართველოს მთავრობის სახელით ამოღებული, რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში

ან ზარალში, როდესაც გაწეულ იქნა.

მოგების გადასახადი

გადასახდელი მოგების გადასახადი ეფუძნება მიმდინარე პერიოდში მოგებით დასაბეგრ ოპერაციებს და მოგების გადასახადის გადახდა ხდება ყოველთვიურად.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულების თანხით.

ცვეთის დარიცხვა ხდება ნარჩენი ღირებულებით შემცირებული აქტივების თვითღირებულების განაწილების მიზნით მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე, შემცირებადი ნაშთის მეთოდით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები:

შენობა-ნაგებობები	5 პროცენტი
მანქანა-დანადგარები და მოწყობილობა	20 პროცენტი

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

არამატერიალურ აქტივები

არამატერიალური აქტივები წარმოადგენს შეძენილ კომპიუტერულ პროგრამულ უზრუნველყოფას, რომელიც ასახულია დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. მისი ამორტიზება შემცირებადი ნაშთის მეთოდით აქტივის სასარგებლო მომსახურების შეფასებული ვადის განმავლობაში, 15% იანი განაკვეთით. თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ამორტიზაციის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ

შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ანალოგიურად, ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის შეფასდება სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების გაუფასურება, რისთვისაც სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის თითოეული ერთეულის (ან ანალოგიური ერთეულების ს) საბალანსო ღირებულება შეუდარდება მისი დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს. თუ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის ერთეული (ან ანალოგიური ერთეულების) გაუფასურებულია, მისი საბალანსო ღირებულების შემცირება ხდება პროდუქციის დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების (სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შემთხვევაში – პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სარეალიზაციო ფასის) შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის (კომპენსირების) თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

იჯარა

იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას კომპანიისთვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად.

ფინანსური იჯარით ფლობილ აქტივებზე უფლებები აღიარდება, როგორც აქტივები, იჯარით აღებული ქონების რეალური ღირებულების ტოლი თანხით (ან, თუ მასზე ნაკლებია, მინიმალური საიჯარო გადასახდელების დისკონტირებული ღირებულებით), რომელიც განისაზღვრება იჯარის დასაწყისში. მეიჯარის მიმართ შესაბამისი ვალდებულება აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური იჯარის ვალდებულება. საიჯარო გადასახდელები ნაწილდება დარიცხულ ფინანსურ ხარჯებსა და საიჯარო ვალდებულების შემცირებას შორის ისე, რომ წარმოიქმნება მუდმივი საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების დაუფარავი ნაშთის მიმართ. დარიცხული ფინანსური ხარჯები აკლდება მოგების ან ზარალის შეფასებას. ფინანსური იჯარით ფლობილი აქტივები ჩაირთვება ძირითად საშუალებებში და მათაც ისევე დაერიცხება ცვეთა და ისევე ხდება მათი გაუფასურების ზარალის შეფასება, როგორც საწარმოს საკუთრებაში არსებული

აქტივებისთვის.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში, ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება თვითღირებულებასა და პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება გაიანგარიშება საშუალო მეთოდით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება, გარდა იმ შემთხვევისა როდესაც არარეზიდენტ მომწოდებელს (იმპორტიორს) საქონელის მოწოდების ვადის დარღვევის გამო ერიცხება პირგასამტეხლო პროცენტის სახით. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის ეროვნული ბანკის მიერ გამოცხადებული ოფიციალური სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

ბანკის სესხები და ოვერდრაფტები

საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და აისახება ფინანსურ დანახარჯებში.

3. დივიდენდების გადახდის შეზღუდვა

ბანკის სესხებისა და ბანკის ოვერდრაფტების ხელშეკრულებების პირობების მიხედვით დაუშვებელია ისეთი ოდენობის დივიდენდების გადახდა, რაც გაუნაწილებელი მოგების ნაშთს შეამცირებს ბანკის სესხისა და ბანკის ოვერდრაფტის გადასახდელი ნაშთების ჯამზე ნაკლებ სიდიდემდე.

4. ამონაგები

	2021	2020
საქონლის რეალიზაცია	4,746,920	3,669,373
მომსახურების გაწევა	0	0
გაყიდული საქონელის დაბრუნება და ფასდათმობა	(21,362)	(801)
	4,725,558	3,668,572

5. ფინანსური დანახარჯები

	2021	2020
ბანკის სესხის პროცენტი	12,311	25,040
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	0	23,388
	12,311	48,428

6. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	2021	2020
სავაჭრო დებიტორები	137,569	192,068
წინასწარი გადახდები	135,123	97,064
	272,692	289,132

7. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

	2021	2020
საქონელი	3,727,713	2,927,261
	3,727,713	2,927,261

8. ძირითადი საშუალებები

თვითღირებ ულება	მანქანა - დანადგარ ები და მოწყობი ლობა	ოფისის აღჭურვი ლობა	ავეჯი და სხვა ინვენტარი	სატრანსპო რტო საშუალებე ბი	სულ
1 იანვარი 2021 წ.	59,715	27,892	24,338	53,241	165,186
შემოსვლა	25,597	0	2,774	69,266	90,694
გასვლა	69,266	0	0	0	0
31 დეკემბერი 2021 წ.	16047	27,892	27,112	122,507	193,558

9. ბანკის სესხი

	2021	2020
ბანკის სესხი	250,000	146,092
	250,000	146,092

10. სავაჭრო ვალდებულებები

2021 წლის 31 დეკემბრისთვის სავაჭრო ვალდებულებები მოიცავს 1,652,400 ლარს
(2020 წლის 31 დეკემბრისთვის 839,093 ლარი)

11. ჩვეულებრივი იჯარის ვალდებულებები

	2021	2020
მიმდინარე წელს აღიარებულია ხარჯად	318,957	244,157

12. კაპიტალი

2021 წლისა 31 დეკემბრისთვის საწესდებო კაპიტალის ნაშთი შეადგენს 0 ლარს.

13. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები

	2021	2020
ფულადი სახსრები სალაროში	36,630	35,934
ფულადი სახსრები ბანკში	181,782	43,770

14. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

დირექტორმა ფინანსური ანგარიშგება დაამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 2022 წლის 28 სექტემბერს.

დირექტორი: გიორგი ლომიძე

ხელმოწერა:

	2021	2020
მიმდინარე წელს აღიარებულია ხარჯად	318,957	244,157

12. კაპიტალი

2021 წლისა 31 დეკემბრისთვის საწესდებო კაპიტალის ნაშთი შეადგენს 0 ლარს.

13. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები

	2021	2020
ფულადი სახსრები სალაროში	36,630	35,934
ფულადი სახსრები ბანკში	181,782	43,770

14. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

დირექტორმა ფინანსური ანგარიშგება დამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 2022 წლის 28 სექტემბერს.

დირექტორი: გიორგი ლომიძე

ხელმოწერა:

